PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

შორენა ხუბუნაია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრი:

ტიტე ბოლქვაძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **05/03/2020 N 02000276040** ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ტიტე ბოლქვაძე (ჯგუფის წევრი) 2020 წლის 12 მარტს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში (შემდგომში „დაწესებულება“, „კოლეჯი“). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **სარკინიგზო გადაზიდვები** საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

კოლეჯში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არა

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 9 სექტემბერს და დაწესებულებას მიეცა 8 რეკომენდაცია. რეკომენდაციები ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის იყო. დაწესებულებამ უმეტესობა მათგანი გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტები.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა **სარკინიგზო გადაზიდვების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საქმისწარმოებისას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილი მიგნებებით და გაეცნო დასკვნას (20-21 აგვისტო, 2018 წელი), სადაც მოცემული იყო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული ერთი რეკომენდაცია. რეკომენდაცია ეხებოდა მოდულების მესამე ნაწილში მათი განხორციელების ადგილის მითითებას და სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების განსაზღვრას. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. კოლეჯის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება დუალურად, შესაბამისად პროგრამის სასწავლო გეგმაში გამიჯნულია მოდულების განხორციელების ადგილები, იგივე ინფორმაცია აღნიშნულია სასწავლო საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შესაბამისი მოდულების განმახორციელებელი პირების მიერ შემუშავებულ სასწავლო გეგმებში, შესაბამისად მოდულებში დამატებითი ინფორმაციის აუცილებლობა არ დგას. იგივე არგუმენტით აიხსნა მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების დაგეგმვის საკითხი, რაც კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, მოდულის მესამე ნაწილში უკვე ისედაც მოცემულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.1

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რაც რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტი 2.4

1. რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით დაწესებულებამ განსაზღვროს შეფასების სისტემის თითოეული პროცედურა. კერძოდ:

- მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების პროექტის ვალიდაცია რეკომენდებულია განხორციელდეს დარგის სხვა სპეციალისტების ჩართულობით, დაწესებულების სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების ორგანიზებით;
- დაიგეგმოს შეფასების განხორციელების პროცესი, დამსწრე პირები და სხვა, იმგვარად, რომ შენარჩუნდეს შეფასების პროცესის მიმართ მაღალი სანდოობა და სხვა;

2. რეკომენდებულია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, რისთვისაც დაწესებულების მიერ რეკომენდებულია გაიწეროს შემდეგი პროცესები:

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის წესი, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ჯგუფში ისეთი პირების ჩართულობას, ვინც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ან მათი ვალიდაციის პროცესში;
- ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა;
- ვერიფიკაციისას ჯგუფის სამუშაო ფორმები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარკინიგზო გადაზიდვები
პროფესიული განათლების დონე	საშუალო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**დამტკიცებულია:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით; **ცვლილება:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №8 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი:** ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;</u>

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სარკინიგზო გადაზიდვები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები** განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა ისეთ გარემოებებს, როგორიცაა:

- სარკინიგზო გადაზიდვების პროფესიის დაუფლების მსურველთა სპექტრის გაფართოება, რომელიც არგუმენტირებულია კოლეჯის გამოცდილებით და ზემოაღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველი ისეთი სრულწლოვანი პირების მაღალი მომართვიანობით, რომელთაც არ აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატი;
- სარკინიგზო გადაზიდვების პროგრამაზე სწავლის მსურველთა მომართვიანობა მზარდია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აპლიკანტთა მომართვიანობისა და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვების სტატისტიკით. შედეგების მიხედვით, სარკინიგზო გადაზიდვების პროგრამა კოლეჯის მიერ ყველაზე მოთხოვნად პროგრამადაა მიჩნეული და კოლეჯის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა საზოგადოებას მეტი შესაძლებლობა შესთავაზოს;

კოლეჯის მისიაში აღნიშნულია სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით კოლეჯის საქმიანობის ორიენტირი, შესაბამისად, სარკინიგზო გადაზიდვების პროგრამის განხორციელება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის N67 ბრძანებით განხორციელდა ცვლილებები დაწესებულების სტრატეგიულ (2016-2021) გეგმაში და ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად განისაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება.

თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ექვსწლიანი (2016-2021) სტრატეგიული გეგმა, რაც რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან და შემუშავდეს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული **სარკინიგზო გადაზიდვების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტთან, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია:

- სრული ზოგადი განათლება დანართი №1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე.
- საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგით“, რომელიც ითვალისწინებს სამივე სასწავლო გარემოს (A, B, C/პრაქტიკის ობიექტი) გამტარუნარიანობას. კერძოდ, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობას ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამს (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

რეგულაციის მიხედვით, დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ შიდა რეგულაციით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში, იღებს დაწესებულება და გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
- ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის, როგორიცაა „ინფორმაციული წიგნიერება“, საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში, სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
- შესაძლებელია პროფესიული განათლების ერთმა მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით;
- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის;
- ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებთ, დაწესებულებას **სარკინიგზო გადაზიდვების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 60, საიდანაც დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს შეადგენს 15-ს. აღნიშნული რაოდენობა გაანგარიშებულია AC გარემოს გამტარუნარიანობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სარკინიგზო გადაზიდვები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია დამტკიცებული აქვს ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის შემუშავებული სარეკომენდაციო ნუსხის შესაბამისად.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, მათი რაოდენობა და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მოდულების ფარგლებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგებთან. ინტეგრირებული მოდულების მესამე ნაწილში მითითებულია პროფესიასთან დაკავშირებული ტექსტებისა და რესურსების გამოყენების აუცილებლობა, პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებიდან.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. „სარკინიგზო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით, ხოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №8 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა **სარკინიგზო გადაზიდვები.** პროგრამის დასახელება გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის დასახელებისგან - „რკინიგზის ოპერირება“. პროგრამის დასახელება შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ პროგრამის დასახელება არ შეცვლილა.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია:

- ჩარჩო-დოკუმენტი „რკინიგზის ოპერირება“ 07118-პ
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**სარკინიგზო გადაზიდვები, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**“ შემუშავებისას, დაცულია ჩარჩო დოკუმენტისა და „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების მოთხოვნები, კერძოდ:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია ორი სასწავლო გეგმით სწავლებისათვის, მათ შორის: - სრული ზოგადი განათლება მოთხოვნილია დანართი №1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე, ხოლო საბაზო განათლება - დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე. პროგრამაში მოდულების სტრუქტურა, კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ორივე სახის სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - „**სარკინიგზო გადაზიდვები, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**“ სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის №67 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016 წლის 4 თებერვლის №02 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №8 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ“
   დანართი №1 - სასწავლო გეგმა
   დანართი №2- სასწავლო გეგმა ინტეგრირებული სწავლებისთვის;
4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულება;
6. „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველია ჩარჩო-დოკუმენტი „რკინიგზის ოპერირება“, 07118-პ;
8. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“;
9. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით, შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება A, B, C სასწავლო გარემო და სასწავლო საწარმო - სს „საქართველოს რკინიგზა“.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:
- 16 ცალი მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ცალი მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- 1 ცალი დაფა
- 1 ცალი პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - **„მეცნიერება და ტექნოლოგიები“** განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა (გარდა ასაწყობი მოდელებისა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შეძენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა 5 დასახელების ასაწყობი მოდელებისა (იხ. სატენდერო დოკუმენტაცია, დანართი №2) რომელთა შესყიდვის პროცესი დაწყებულია, ტენდერი გამოცხადებულია, კომპანია შერჩეულია და მიმდინარეობს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი.

B სასწავლო გარემო აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:
- 16 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის
- 1 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის
- 1 ცალი დაფა
- 1 ცალი პროექტორი
- 1 ცალი პრინტერი/კომბაინი.

პროგრამის სასწავლო გეგმების მიხედვით გამიჯნულია სასწავლო საწარმოში განსახორციელებელი მოდულები, ხოლო ამ მოდულების სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფისათვის სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებულია ხელშეკრულება №იუს 118-029 და 2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

<u>2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი წინარე ხელშეკრულება (შეთანხმება) გააფორმა 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული ინტეგრირებული მოდულის განხორციელების მდგრადობის მიზნით, დაწესებულებას შერჩეული ჰყავს სულ მცირე 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მოდულისათვის.

დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების რაოდენობა შეადგენს 39-ს.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების/შეთანხმების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

<u>3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;</u>

კოლეჯის შინაგანაწესის მე-9 მუხლი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება გასაუბრების ან კონკურსის გზით. კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება ან ინიშნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა შერჩევისას გამოყენებული შეფასების კითხვარები და შეფასების შედეგები.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა ინტეგრირებული მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მასწავლებლები ამჟამად გადიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების სპეციფიკაციასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურება განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ 9 პირთან. პერსონალი იცნობს ინტეგრირებულ მოდულებს, აცნობიერებს მათ კავშირს სარკინიგზო გადაზიდვების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №91 ბრძანებით. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის მიხედვით მისი კვალიფიკაციაა - გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა სარკინიგზო ტრანსპორტზე (მაგისტრატურა). გავლილი აქვს Deutsche Bahn-ის სწავლების მართვის ტრენინგი (წარმოდგენილია სერტიფიკატი), იყო მონაწილე სასწავლო ვიზიტისა გერმანიის რკინიგზის ტრენინგ ცენტრში აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება სარკინიგზო გადაზიდვების მიმართულებით. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11 მუხლით.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო და ერთი პორტატული კომპიუტერი, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი) და ქაღალდების ასაკინძი მოწყობილობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, კოლეჯის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები, მკითხველთა პასუხისმგებლობა; ბიბლიოთეკის მუშაობის დრო.

კოლეჯში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით და გავლილი აქვს სტაჟირება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის დეპარტამენტში.

<u>6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;</u>

დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-8 მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას. დაწესებულებას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა კოლეჯის რეგულაციის მიხედვით და უფლებამოსილ პირთან გასაუბრებიდან გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯი მოიწვევს ასეთ სპეციალისტს, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩართვას სწავლების პროცესში. ვინაიდან, კოლეჯს არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილ სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო/კალენდარული გეგმა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

<u>7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

პროგრამის - **სარკინიგზო გადაზიდვების** განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ამასთან კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სს "საქართველოს რკინიგზის", სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში რეალისტურადაა გაწერილი შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სს „საქართველოს რკინიგზასთან" 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №იუს 118-029 და სს „საქართველოს რკინიგზასთან" 2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე;
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულება;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
5. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
6. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
7. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №91 ბრძანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების" ხელმძღვანელად ირაკლი ბიწაძის დანიშვნის შესახებ";
8. დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
9. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სს"საქართველოს რკინიგზის", სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საწესდებო კაპიტალში განსახორციელებელი შენატანების ოდენობის, წესის, პირობების, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისა (მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის) და ამ ღონისძიებების დაფინანსების წესის/პირობების განსაზღვრის შესახებ";
10. „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის" შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

11. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. ამასთან, კოლეჯის დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“, როგორც შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებლის დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართული კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი“, ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

(პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) გამოკითხვას, შედეგების ანალიზსა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ მიხედვით, ხარისხის მენეჯერის მოვალეობაა კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება და მისი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი მიმართავს დირექტორს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით პროგრამაში/მოდულებში ცვლილების საჭიროებების შესახებ.

სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის განხორციელების შეფასება, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნა ფოკუს ჯგუფები და დღემდე აგრძელებს მათთან მუშაობას.

დაწესებულების წარმოადგინა პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიმართულებით შექმნილი დოკუმენტები - კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათები და ანგარიშები. დოკუმენტების მიხედვით, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები, რაც გათვალისწინებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა: განხორცილდა დამატებითი აღჭურვილობის შესყიდვა, შიეცვალა მოდულის სწავლების მეთოდები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი“;
3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (პროგრამაში ცვლილებების შეტანის აქტი, შევსებული კითხვარების ანალიზის დოკუმენტები, მოხსენებითი ბარათები და ანგარიშები);
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;</u>**

პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2 სასწავლო გეგმა: დანართი №1 - დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, დანართი №2 დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმების მიხედვით მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

დანართი №2-ის მიხედვით შემუშავებული სასწავლო გეგის მიხედვით მოდულების განაწილება შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს“, დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. მოცემულია პროგრამის ხანგრძლივობა შემდეგი ფორმულირებით:

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 122 კვირა;
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 173 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 142 კვირა.

2. <u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;</u>

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

3. <u>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **სარკინიგზო გადაზიდვები** მოდულებში განსაზღვრულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები. კოლეჯის წარმომადგენელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ, (კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

წესის მე-10 მუხლი). სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება შემდეგი აქტივობებით:

- რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში;
- 2019 წლის 9-13 და 23-27 სექტემბერს, მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებული იქნა პროფესიული განათლების მენტორ-ინსტრუქტორთა ტრენინგები, რომელიც DB Traning, Learning & Consulting-ის მიერ ჩატარდა. აღნიშნული ტრენინგი გაიარა 23-მა პირმა;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წლის ივნისიდან ნოემბრამდე ჩატარდა ტრენინგები კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 35 განმახორციელებლისათვის, პროფესიული განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი პროგრამის დუალური მეთოდით სწავლებისთვის“;
- კოლეჯის პროფესიული განათლების 15 მასწავლებელს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩაუტარდა ტრენინგი: ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“;
- ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით და ამ ეტაპზე ხდება მათი გადამზადება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

4. <u>პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;</u>

ვინაიდან კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა უმეტესობა სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები არიან, პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისას დაწესებულება ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე წარმოქმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციებს, რისთვისაც ახორციელებს ცვლილებებს მეცადინეობების ან შეფასების განრიგში ცვლილებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2020

PDF Eraser Free

5. <u>პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;</u>

სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №იუს 118-029 და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე.
ამასთან, მოტივაციის ამაღლების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზა“ ანაზღაურებას უხდის როგორც პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც გადასული არიან სწავლების პრაქტიკულ ნაწილზე პრაქტიკის ობიექტებზე, ასევე, პროფესიულ სტუდენტებზე მიმაგრებული ინსტრუქტორებს

6. <u>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.</u>

პროგრამის სპეციფიკის მიხედვით დაწესებულებაში დაცულია სასწავლო და სამუშაო პირობების უსაფრთხოება, რისთვისაც:

- კოლეჯში არსებობს მედდის კაბინეტი, სადაც შესაძლებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. მედდასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება 2018 წლის 1 ივნისს
- დაწესებულებას გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის; (2018 წლის 1 მარტის №01/03/8/1 ხელშეკრულება შპს „თბილისი მედიკთან“)
- წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები - შპს „გრანიტთან“ 2017 წლის 23 იანვრის ხელშეკრულება №6
- საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოება - 2018 წლის 21 თებერვალს შპს „ლარი პლუსთან“ გაფორმებული №21/02/8 ხელშეკრულების შედეგად მომზადებული საევაკუაციო გეგმა - განთავსებულია კოლეჯში
- კოლეჯის შენობა აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და სახანძრო სიგნალიზაციით
- წესრიგის უზრუნველყოფას კოლეჯის ტერიტორიაზე ახორციელებს შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო - 1“
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სამმართველო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, შენობის უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2019 წლის 22 ნოემბრის №2042 მიწერილობა - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე
- კოლეჯის AC სასწავლო გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №8 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ“;
2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №49 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნისა და კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“;
3. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №იუს 118-029 და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე;
5. 2018 წლის 1 მარტის №01/03/8/1 ხელშეკრულება შპს „თბილისი მედიკთან“;
6. შპს „გრანიტთან“ 2017 წლის 23 იანვრის ხელშეკრულება №6;
7. 2018 წლის 21 თებერვალს შპს „ლარი პლუსთან“ გაფორმებული №21/02/8 ხელშეკრულების შედეგად მომზადებული საევაკუაციო გეგმა - განთავსებულია კოლეჯში;
8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სამმართველო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, შენობის უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ
9. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2019 წლის 22 ნოემბრის №2042 მიწერილობა - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე
10. 2018 წლის 1 მარტს შპს „გიო კომპანისთან“ გაფორმებული №01/03/8/2 ხელშეკრულება;
11. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სამმართველო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა
12. http://www.rtc.edu.ge/news/rkinigzis-instruqtorebis-treningi/53
13. http://www.rtc.edu.ge/news/DB-engineering-&-consulting-GmbH-is-mier-finansTa-saministros-akademiis-SenobaSi-Catarebuli-treningebi/10
14. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;</u>

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-6 პუნქტის მიხედვით პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

რეგულაციის მიხედვით: პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას ახდენს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც ფორმირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შინაარსობრივი მხარის შემოწმებას და ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით. ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფთან“ გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით დაწესებულებამ განსაზრვროს შეფასების სისტემის თითეული პროცედურა. კერძოდ:

- მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების პროექტის ვალიდაცია რეკომენდებულია განხორციელდეს დარგის სხვა სპეციალისტების ჩართულობით, დაწესებულების სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების ორგანიზებით;
- დაიგეგმოს შეფასების განხორციელების პროცესი, დამსწრე პირები და სხვა, იმგვარად, რომ შენარჩუნდეს შეფასების პროცესის მიმართ მაღალი სანდოობა და სხვა;

2. <u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;</u>

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მიხედვით, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი ჩართულია ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 თებერვლის №11 ბრძანებით შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა კოლეჯში არსებული მიდგომებით და განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაც განაცხადა, რომ შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მოდულთან შესაბამისობას განახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც ჩაერთვება დარგის სპეციალისტები სს საქართველოს რკინიგზიდან.

რეკომენდებულია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, რისთვისაც დაწესებულების მიერ რეკომენდებულია გაიწეროს შემდეგი პროცესები:

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის წესი, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ჯგუფში ისეთი პირების ჩართულობას, ვინც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ან მათი ვალიდაციის პროცესში;
- ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ვერიფიკაციისას ჯგუფის სამუშაო ფორმები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები და სხვა.

3. <u>პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;</u>

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №49 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნისა და კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობის წესი“ და „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 25 დეკემბრის №115 ბრძანებით) რის მიხედვითაც, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/მტკიცებულებები ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელს/მასწავლებლებს ევალებათ პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვა მოდულის დასრულებამდე. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მოდულის პროფესიული მასწავლებლისგან, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, იბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 10 დღის ვადაში. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა. თუ მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მოდულის პროფესიული მასწავლებლისგან, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, იბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებებს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აბარებს არქივს.

4. <u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11 მუხლის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი წელიწადში ერთხელ (სავალდებულო) და საჭიროების შემთხვევაში (რიგგარეშე) ახდენს პროგრამის რევიზიას და წარმოადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის, რაც ეფუძნება კოლეჯში დანერგილ სიახლეებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო მასალების შექმნას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების საჭიროებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, კანონმდებლობისა და რეგულაციების ცვლილების ასახვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი აფასებს პროფესიულ სტუდენტს და წერს დახასიათებას, რომელიც შემდეგ ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში. სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის სპეციალისტების მიერ ხდება ამ დახასიათებების ანალიზი და მისი გაცნობა ინსტრუქტორებისთვის.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი გვეხმარება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 8 ნოემბრის №93 ბრძანებით);
2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №49 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნისა და კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“; (ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 25 დეკემბრის №115 ბრძანებით)
3. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. სატენდერო დოკუმენტაცია

31.03.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------